

თბილისი

31.12.2015წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 14 დეკემბრის №8807-2 მოხსენებითი ბარათის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №2843 განკარგულებისა და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, „საევაკუაციო ნაგებობების“ მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 24 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადად 2015 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად განისაზღვროს 2016 წლის 31 იანვარი.
2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 01 მარტის ჩათვლით.
3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ №1-15 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.
4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი  
დეპარტამენტის  
თავმჯდომარის მოადგილე  
მაია ქალიაშვილი



მიმწოდებელი  
შპს საპროექტო-საკვლევადიებო  
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“  
გენერალური დირექტორი  
ტალი ტალიაშვილი



Handwritten signatures of the parties at the bottom of the document.